ხ03/გლ 9030

# მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

28 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო მასწავლებელთა საკავშირო ყრილობამ. საბჭოთა სკოლის შემდგომი გაუმჯობესებისთვის ბჭობენ ყრილობის დელეგატები, რომელთა გამოსვლებში ჩაქსოვილია აზრი, რომ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის მთავარი მიზანია კომუნისტური საზოგადოების სოციალურად აქტიური მშენებლების მომზადება. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ქმედითობის გაძლიერება, რათა მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობანი, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით არის დამკვიდრებული.

ბევრმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდების აღსაზრდელად მდიდარ მასალებს იძლევიან ლ. ი. ბრეჟნევის პატრიოტული წიგნები — „მცირე მიწა“ და „აღორძინება“. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე ილაპარაკა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

ყრილობის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს.

გუშინ მასწავლებელთა ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 127 (6182)

1978 წ. 1 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მ ე ს ა მ ე, შრომითი სემესტრი

ამ დღეებში თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი 60 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა თათრეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ ნაბერეჟნიე ჩელნიში, სადაც მესამე შრომით სემესტრს გაატარებენ. სტუდენტებმა კამაზ-ის მშენებლობაზე 100 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულონ. მათ დაგეგმილი აქვთ მოაწყონ შეჯიბრებები ბრიგადებს შორის და აგრეთვე, შეფობა გაუწიონ ადგილობრივ ახალგაზრდებს.

საზეიმო ხაზი და მიტინგი გახსნა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. დვალმა, რომელმაც ინსტიტუტის რექტორს ა. მელიას ჩააბარა პატაკი სამშენებლო რაზმის მზადყოფნის შესახებ. რექტორმა პატაკის მიღების შემდეგ სტუდენტებს უსურვა მესამე სემესტრის წარმატებით დამთავრება.

სიტყვებით გამოვიდნენ — პრორექტორი აღმზრდელობით დარგში ვ. მახდინაროვი, პარტბიუროს მდივანი თ. პაიჭაძე, მშობელი გ. ლაბუჩიძე, პირველკურსელი შ. პაპანაშვილი. სტუდენტებმა ვალდებულება აიღეს მესამე შრომითი სემესტრის სამუშაოები 120 პროცენტით შეასრულონ.



**სურათზე:** სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.

# ნანიშვილი და თათარაძე — სსრ კავშირის ნაკრებში

**ტანვარჯიში**



საფრანგეთიდან დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამატჩო შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ ისეთ სპორტსმენთა გვერდით, როგორიც არიან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სვეტლანა გროზდოვა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები ელენე მუხინა და ვლადიმერ მარკელოვი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ოლღა კოვალი და ედუარდ აზარიანი, გამოდიოდნენ თბილისის განათლების განყოფილების გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მ. იმნაძე) აღსაზრდელები — 13 წლის ხათუნა ნანიშვილი და 19 წლის მალხაზ თათარაძე.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც ქალებში, ასევე ვაჟებში, პირველობა მოიპოვეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად ბულგარელი და ფრანგი ტანმოვარჯიშეები გამოვიდნენ.

ქალთა პირად ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმო საბჭოთა გუნდის ლიდერმა ს. გროზდოვამ. ჩვენი თანამემამულე ხ. ნანიშვილი (მწვრთნელები — სპორტის ოსტატები დ. სირაძე და გ. გიუტაშვილი) ოდესელ ლილია პოგორლიუკთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გავიდა.

მოხდა ისე, რომ ვაჟთა პირად პირველობაზე თანაბარი ქულები (111,8) მოაგროვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა მალხაზ თათარაძემ (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. მიქელაძე) და ლვოველმა ბოგდან მაკუცმა. ორივეს პირველობა მიაკუთვნეს. მეორე ადგილი წილად ხვდა ბულგარელ სტოიან დელჩევს, მესამე იყო საფრანგეთის წარმომადგენელი ჟ. გუზთა. მ. თათარაძე პირველი იყო, აგრეთვე, ბჯენით ხტომებში.

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

**სურათზე:** ხათუნა ნანიშვილი და მალხაზ თათარაძე.

ავტორის ფოტო.

# მუშკეტერები თბილისისაკენ მიისწრაფიან

**ფარიკაობა**

ფარიკაობის მოყვარულები მიმზიდველი და საინტერესო სანახაობის მოწმენი იქნებიან. 2-დან 10 ივლისის ჩათვლით თბილისში გაიმართება ტრადიციული პირად-გუნდური ორთაბრძოლები ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის.

„ბურევესტნიკის“ ემბლემით საფარიკაო ბილიკზე სამასზე მეტი რაპირისტი, ხმლითა და დაშნით მოფარიკავე სპორტის ოსტატი გამოვა.

აი, რა თქვა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. ასათიანმა:

— უძლიერესი სტუდენტი-მოფარიკავეების ფორუმი ოლიმპიადა-80-ისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. სტუმართა შორის უეჭველად იქნებიან ნაკრების კანდიდატები. „ბილიკის მასპინძლობა“ არა მარტო სტუმრების კარგად მიღებას გვავალდებულებს, არამედ საჭიროა წამყვანი სპორტსმენების წოდება შეინარჩუნონ მსგავს შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების სტუდენტებმა.

შემუშავებულია ქვეყნის 31 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთათვის თბილისის ღირსშესანიშნაობათა და სპორტულ ნაგებობათა გაცნობის ფართო პროგრამა.

ზ. კოვალიოვი.

# ს პ ო რ ტ უ ლ ი ი ვ ლ ი ს ი

ზაფხულის ეს თვე მდიდარია შეჯიბრებებით, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში გაიმართება. აი, კალენდარიც:

1-5 ივლისი. წყალბურთი. საქართველოს თასი. ქუთაისი.

3-6. მშვილდოსნობა. 1958-59 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ბათუმი.

3-9. ჰოკეი ბალახზე. უმაღლესი სპორტული ოსტატობის № I რესპუბლიკური სკოლის პირველობა. ბათუმი.

5-7. ტრეკზე ველორბოლა. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

6-8. ქართული ჭიდაობა. საქართველოს პირველობის ფინალი. თელავი.

6-9. აკრობატიკა. რესპუბლიკური ახალგაზრდული შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე. გორი.

6-10. სპორტული ტანვარჯიში. საქართველოს თასი მრავალჭიდში და რესპუბლიკის ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში. თბილისი.

7-9. მშდ მრავალჭიდი. საქართველოს საუწყებო პირველობა. თბილისი.

8-14. კალათბურთი. საქართველოს ვაჟთა და ქალთა გუნდების ჩემპიონატი „ა“ კლასის კოლექტივებს შორის (პირველი წრე). გურჯაანი.

10-15. წყალში ხტომა. 1960-67 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

14-17. საგზატკეცილო ველორბოლა. საქართველოს სსრ ჩემპიონატი კრიტერიუმში, ჯგუფურ და გუნდურ რბოლებში. თბილისი.

19-24. საგზატკეცილო ველორბოლა. საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის III სპორტული თამაშების პროგრამით. გუდაუთა.

21-26. თანამედროვე ხუთჭიდი. 1957-59 და 1960-62 წლებში დაბადებული იუნიორებისა და ჭაბუკების რესპუბლიკური პირველობები. თბილისი.

25-29. ტრეკზე რბოლა. სსრ კავშირის ჩემპიონატი ოლიმპიურ ვარჯიშებში. სპრინტი — მეორე ტური. თბილისი.

28-31. წყალში ხტომა. საქართველოს თასი. თბილისი.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# სპორტის სასახლის თაღებქვეშ

**თბილისის** სპორტის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობის გახსნის ცერემონიალის შემდეგ სასიამოვნო მისიის შესრულება მოუხდა მოსკოველ სტუმარს, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარეს ტ. ლისიცკაიას. მან საქართველოს ნაკრების წევრებს ი. გაბაშვილს, მ. მორბედაძეს, ბ. სისაურს, ი. კისელიოვას, ე. ლომკაცსა და მ. ხალილოვას გადასცა სპორტის ოსტატის მოწმობები და სამკერდე ნიშნები. ეს მოხდა შეჯიბრების მონაწილეების — აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდების წევრების თანდასწრებით. შემდეგ სპორტის სასახლის თაღებქვეშ გაჩაღდა დაძაბული, საინტერესო ასპარეზობა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს **ლანა მეყანწიშვილს.**

— მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა ალნიშნული პაქრობა რიგითი ლონისძიება როდია, — თქვა ლ. მეყანწიშვილმა. — ჩვენ, ნაკრების მწვრთნელებს დიდი ამოცანები გვაქვს დასახული. როგორც ცნობილია, ოქტომბერში ტაშკენტი უმასპინძლებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადას. ჩვენი მიზანი იყო ნორჩ სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმისთვის ღირსეული კანდიდატები შეგვერჩია. ტაშკენტში გამოვლენ თბილისელები: მ. ხალილოვა, ი. ქემჩუქინა, ქ. კუჭავა, ი. საიკაშვილი, მ. გუნია, ნ. ფოცხიშვილი, ბ. სისაური, აგრეთვე, ბათუმელები მ. ბაბიჩი და მ. ნადიბაიძე. როგორც ხედავთ, რესპუბლიკის ნაკრები ძირითადად, დედაქალაქის აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზირებული სკოლის (დირექტორი მ. გეგელია, მწვრთნელი ნ. სალაძე) აღსაზრდელებითაა დაკომპლექტებული.

ტაშკენტის სტარტამდე ცოტა დროა დარჩენილი. რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ამ პერიოდში დაძაბული ვარჯიში ელით. დაგეგმილი გვაქვს ამხანაგური შეხვედრები მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებთან.

ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო სპორტის სასახლის დირექციას, რომელმაც საშუალება მოგვცა ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა.

**ო. ყიფშიძე.**

* * *

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.

**გუნდური ჩათვლა.** თბილისი, აჭარა, აფხაზეთი.

**პირადი ჩათვლა. უსაგნოდ.** მ. ხალილოვა — 18,25 ქულა, ი. საიკაშვილი — 17,95, მ. გუნია — 17,75 (სამივე — თბილისი); **გურზებით.** მ. ხალილოვა — 18,95, მ. ბაბიჩი (ბათუმი) — 18,4, ი. საიკაშვილი — 18,2; **ბურთით.** ი. ქემჩუქინა (თბილისი) — 18,75, მ. ხალილოვა — 18,4, ი. საიკაშვილი — 18,3; **ბაბთით.** მ. ხალილოვა 18,8, ი. ქემჩუქინა — 18,6, ი. საიკაშვილი — 18,3; **სახტუნაოთი.** მ. ხალილოვა — 18,7, ი. ქემჩუქინა — 18,45, ი. საიკაშვილი — 18,4.

**მრავალჭიდი.** 1. ხალილოვა — 46,35, 2. საიკაშვილი — 45,3, 3-4. მ. გუნია, მ ბაბიჩი — 44,65.

# უძლიერესთა შორის




**„ლოკომოტივის"** საცურაო აუზში დამთავრდა რესპუბლიკის მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალში ხტომაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და რუსთავის 40-ზე მეტი სპორტსმენი. მიუხედავად იმისა, რომ სარბიელზე ვერ ვიხილეთ უძლიერესი წყალში მხტომელები ლ. ცოტაძე, ს. შალიბაშვილი და ი. გუტიაკულოვა (ისინი ერევანში, საკავშირო პირველობაზე გაემგზავრნენ), შეჯიბრება საინტერესოდ და მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოშკიდან მხტომელების კარგი გამოსვლა, სადაც გამარჯვებულმა ი. ელბაქიძემ და მეორე პრიზიორმა ა. გალუსტიანმა (ორივე — თბილისი) სპორტის ოსტატის შედეგები აჩვენეს. მესამე პრიზიორმა, აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ს. ფილიპოვმა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. სპორტის ოსტატობის პირველი ბალი მიიღო სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა ლ. ლონლაძემ, რომელმაც გოგონათა შორის გამარჯვება მოიპოვა როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში.

შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ჩვენი წყალში მხტომელების მზარდი ოსტატობა. ლვოვში, გასულ სპარტაკიადაზე, მათ საპატიო IV ადგილი დაიკავეს, მაგრამ მწვრთნელები და გულშემატკივრები ახლა უკეთეს შედეგებს ელიან.

**გ. თათეიშვილი.**

### ტექნიკური შედეგები

**გოგონები. უმცროსი ასაკი. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ე. ბელიოვა — 396,15 ქულა, ლ. გასპაროვა — 361,91 ქ, ს. ნოქარაშვილი (ყველა — თბილისი) — 354,72 ქ, **კოშკი.** ბელიოვა — 272,88 ქ, ი. სოლოვიოვა (აფხაზეთი) — 258,78 ქ, ე. კვაჭაძე (თბილისი) — 232,02 ქ; **უფროსი ასაკი. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ლ. ლონლაძე (თბილისი) — 406,53 ქ, ლ. ნაზარსი (აფხაზეთი) — 343,11 ქ, გ. ლომიძე (თბილისი) — 314,46 ქ; **კოშკი.** ლონლაძე — 340,08 ქ, ლომიძე — 234,72 ქ, ლ. ნაზარსი — 234,64 ქ.

**ბიჭები. უმცროსი ასაკი. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** თ. ხვედელიძე — 480,08 ქულა, ი. ელბაქიძე — 478,43 ქ, ა. გალუსტიანი (ყველა — თბილისი) — 460,28 ქ; **კოშკი.** გ. შავდია — 400,89 ქ, რ. აგალარიანი (ორივე — აფხაზეთი) — 379,21 ქ, პ. ყეინიშვილი (თბილისი) — 369,45 ქ; **უფროსი ასაკი.** თ. ნებიერიძე — 388,50 ქ, დ. მაისურაძე — 387,33 ქ, გ. პატარაია (ყველა — თბილისი) — 324,12 ქ; **კოშკი.** ელბაქიძე — 485,81 ქ, გალუსტიანი — 481,56 ქ, ს. ფილიპოვი (აფხაზეთი) — 432,25 ქ.

**გუნდური:** თბილისი, აფხაზეთი, ქუთაისი.

* * *

**სურათზე:** გ. შავდია, ე. ბელიოვა და თ. ხვედელიძე.

**ჯ. კასრაძის ფოტო.**



# თავს რატომ არიდებენ?

**თბილისის** „ლოკომოტივის" ბაზებზე დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზელთა პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, რომელშიც თბილისის, ერევნის, და სამტრედიის რაისაბჭოების გუნდები, აგრეთვე, თბილმეტროპოლიტენისა და „ამტრანსტროის" სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ტურნირის მიზანი იყო დაკომპლექტება ნაკრებისა, რომელიც საქართველოს პირველობაში იასპარეზებს.

მეხუთე საფეხურის კომპლექსის ნიშნოსანთა შორის ვაჟებში თავიდან გ. ველაშვილი (მეტროპოლიტენი) დაწინაურდა, მაგრამ ბოლო ორი სახეობის (სროლა და კროსი) შემდეგ მას სამტრედიელი ვ. სტრონჩაი დაეწია. საბოლოოდ ორივემ 79-79 ქულა მოაგროვა. მათ I-II ადგილები გაიყვეს. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. ცხომელიძე (სამტრედია), რომელმაც 2 ქულით ჩამოიტოვა თბილისელი ლ. პოლოზენკო.

მესამე საფეხურში გოგონათა შორის ბადალი არ ჰყავდა საქართველოს ნაკრების წევრს ი. ამოსოვას (იგი უკონკურსოდ გამოდიოდა). მან 97 ქულა მოაგროვა. ჩემპიონობა კი მოიპოვა სამტრედიელმა ნ. ქორიძემ — 66. ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა ნ. ლიპარტელიანმა (თბილისის განყოფილება). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გ. თევდორაძე (სამტრედია) და ტ. მაისურაძე (მეტროპოლიტენი).

მეოთხე საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ვ. სნიმშჩიკოვმა (თბილისის განყოფილება) აჯობა ყველას, ხოლო მეორე ასაკობრივ ჯგუფში — ა. ალექსეევმა (სამტრედია). ქალთა შორის შესაბამისად გაიმარჯვეს მ. მელაძემ (თბილისი). და ს. კაპიდომ (სამტრედია).

საერთო გუნდური პირველობა თბილისის განყოფილების ნაკრებმა მოიგო. მეორე ადგილზეა სამტრედიის გუნდი, მესამეზე — მეტროპოლიტენის ნიშნოსნები.

ტურნირმა დაგვანახა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზისა და სატრანსპორტო მშენებლობის ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა ხარისხიანი მომზადება ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას. განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს სამშენებლო ტრესტ „ზაკტრანსსტროის" ფიზკულტურული კოლექტივის (რაისაბჭოს თავმჯდომარე ი. ბარამიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ჯ. დვალიძე) საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ქაური მშდ კომპლექსის ნიშნოსნები ორი წელია შეჯიბრებებს თავს არიდებენ.

**ს. რამინიშვილი,**
**„ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.**

* * *

**სურათებზე:** შეჯიბრების მომენტები.

**გ. ქიმერიძის ფოტოები.**







# სრულვყოთ ლექციური პროპაგანდა

**„ლექციური** პროპაგანდის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნას მიეძღვნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტის პროპაგანდის ფედერაციის ერთობლივი სხდომა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე ლექციური პროპაგანდის მდგომარეობასა და მის სრულყოფაში სკკპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სადირექტივო მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ილაშვილი. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის ფართო ფენებს დამაჯერებლად და მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა განემარტოს ფიზკულტურისა და სპორტის, როგორც მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ოლიმპიადა პირველად ტარდება, განხილული უნდა იქნეს, როგორც სოციალისტური ბანაკის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ავტორიტეტის საყოველთაო აღიარება. ლექციებში და ცალკეულ მოხსენებებში ფართო პროპაგანდა უნდა გაეწიოს მსოფლიოს ამ უდიდესი სპორტული ასპარეზობის საერთაშორისო მნიშვნელობას. მასებს უნდა გავაცნოთ ის ღონისძიებები, რაც ჩვენს ქვეყანაში ოლიმპიური თამაშების სამაგალითო მასპინძლობისთვის ხორციელდება. სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელეს აგრეთვე მშდ ფიზკულტურული კომპლექსის, როგორც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საპროგრამო და სანორმატივო საფუძვლის როლზე ლექციურ პროპაგანდაში. მაგრამ, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ლექციური პროპაგანდის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გარდაქმნისა და ხარისხობრივად გაუმჯობესებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლექტორთა კადრების მომზადებასა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას, ცხადია, დრო სჭირდება, მაგრამ, რაც უფრო ადრე დაიწყება ზრუნვა საქმის პრაქტიკულად მოგვარებისთვის, მით უკეთესი. ამიტომ, როგორც სხდომაზე გადაწყდა, ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრებისაგან შემდგარი ბრიგადები მოკლე ხანში იწვევიან რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონს, ჩაატარებენ პრაქტიკულ კონფერენციებს. დაისახა ღონისძიებანი ლექციურ პროპაგანდაში თვალსაჩინოების მასალების უკეთ გამოყენებისთვის.

სამეცნიერო- მეთოდური საბჭოს წევრებმა თვითვალდებულება აიღეს, იწვიონ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს და ჩაატარონ სულ ცოტა 15-15 ლექცია. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბალავაძემ განაცხადა, რომ ახლო მომავალში სახელგანთქმულ ფალავან ლ. თედიაშვილთან ერთად ჩავა სამხრეთ საქართველოსა და აჭარის რაიონებში, სადაც ჩატარდება საუბრები ადგილობრივ მშრომელებთან სპორტის აქტუალურ საკითხებზე.

სხდომას ესწრებოდა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე გ. ტატიშვილი.

**თ. წეველი.**

### ხელვაჩაური

მოეწყო თასის სარაიონო გათამაშება ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელოზერსკის სახელობის მეცხოველეობის ხანაშენე საბჭოთა მეურნეობისა და გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის გუნდები.

### [illegible]

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელებმა.

**ნ. დევიძე.**

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

სტატისტიკის მოყვარულებს ვთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის ტექნიკურ მონაცემებს.

„ტორპედო“ — „შახტიორი“ 1:2. მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში წარმატებას მიაღწიეს ტორპედოელებმა (ხრაბროსტინი). ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გაათანაბრა ლატიშმა, მერე კი სტარუხინმა წინ გაიყვანა „შახტიორი“. გაფრთხილება მიიღო დონეცკელმა სოკოლოვსკიმ.

დუბლიორები — 1:2.

„ფახთაქორი“ — „სპარტაკი“ 1:3. ამ მატჩში სპარტაკელმა იარცევმა 3 ბურთი გაიტანა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ზაგუმენიხი. გაფრთხილება მიიღო სპარტაკელმა გავრილოვმა.

დუბლიორები 1:0.

„არარატი“ — „დინამო“ მ. 1:4. ანგარიში 41-ე წუთზე გახსნა მოსკოველმა კოლესოვმა. შესვენების შემდეგ მაქსიმენკოვმა (ორჯერ) და კაზაჩონოკმა ანგარიში აიყვანეს 4:0-მდე. ერევნელებმა მხოლოდ „მშრალი“ ანგარიშით წაგებას დააღწიეს თავი (ან. ხაჩატრიანი).

დუბლიორები — 2:1.

„ნეფთჩი“ — „ზარია“ 2:1. 25-ე წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები (ოლენევი). გოლი პენალტით გაქვითა რახმანოვმა, ხოლო შემდეგ ე. აბასოვმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

დუბლიორები — 2:1.

„ზენიტი“ — „დნეპრი“ 2:2. „დნეპრის“ მხრივ ბურთები გაიტანეს კოვალიოვმა და კუცევმა, „ზენიტიდან“ — კუზნეცოვმა (პენალტი) და კრიშჩუკმა. გაფრთხილებულია დნეპროპეტროვსკელი მოტუზი.

დუბლიორები — 1:1.

„ქაირათისა“ და კიევის „დინამოს“ დუბლიორთა შეხვედრა მოიგო „ქაირათმა“ — 2:0.

* * *

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ სათადარიგო შემადგენლობებს შორის.

გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:1 (2:0).

დინამოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მამინაშვილი, დურდიაძე (მერეჩკო), ჩივაძე, გოგოლაძე, ჭილაია, მინაშვილი (კაკილაშვილი), კოპალეიშვილი, ჯოხაძე, მუმლაძე (აფხაზავა), ბაზაზაშვილი, ჩელებაძე.

### I ლიგა

**28 ივნისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები კრასნოდარში შეხვდნენ ადგილობრივ „კუბანს“. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0.

ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „კუზბასი“ (კემეროვო) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:6, „დინამო“ (მინსკი) — ასკ (ოდესა) 2:1, „ქალგირისი“ — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „პამირი“ (დუშანბე) — 1:3.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ“. | 18 | 10 | 5 | 3 | 24—13 | 25 |
| „ყუბანი“ | 18 | 9 | 5 | 4 | 25—14 | 23 |
| ასკ რ. | 18 | 7 | 9 | 2 | 30—16 | 23 |
| „კარპატი“ | 17 | 9 | 4 | 4 | 24—14 | 22 |
| „დინამო“ მნ. | 17 | 8 | 6 | 3 | 26—17 | 22 |
| „ნისტრუ“ | 18 | 8 | 5 | 5 | 25—18 | 21 |
| „ტორპედო“ | 18 | 8 | 4 | 6 | 23—19 | 20 |
| „კუზბასი“ | 18 | 8 | 4 | 6 | 20—18 | 20 |
| „ტავრია“ | 18 | 7 | 6 | 5 | 25—18 | 20 |
| „თერგი“ | 18 | 8 | 3 | 7 | 25—25 | 19 |
| „სპარტ“. ი.-ფ. | 18 | 8 | 2 | 8 | 22—29 | 18 |
| „ჟალგირ“. | 17 | 4 | 9 | 4 | 19—18 | 17 |
| „პამირი“ | 18 | 4 | 9 | 5 | 17—16 | 17 |
| ასკ ოდ. | 18 | 5 | 5 | 8 | 20—25 | 15 |
| „ურალმაში“ | 18 | 5 | 4 | 9 | 13—23 | 14 |
| „მეტალურ“. | 18 | 3 | 8 | 7 | 16—25 | 14 |
| „შინიკი“ | 15 | 3 | 6 | 6 | 10—16 | 12 |
| „დინამო“ ლ. | 18 | 2 | 8 | 8 | 20—31 | 12 |
| „კოლხოზ“. | 18 | 3 | 5 | 10 | 15—29 | 11 |
| „სპარტ“. ორ. | 18 | 3 | 3 | 12 | 13—28 | 9 |

### მეორე ლიგა

**28 და 29 ივნისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები:

„პროგრესი“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (სოხუმი) 3:2, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:1, „გასტელო“ (უფა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:1, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „დილა“ (გორი) 5:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:2, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:0, „დინამო“ (კიროვი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:1, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) — 1:0.

## სამეჯლისო მოგზაური

კარგი მასპინძლობა ● ახალი სახელები ● უხეირო რეგლამენტი ● ფინალისტთა პერსპექტივები.

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი ყველასთვის სასურველი შეჯიბრებაა. ამჯერად მისი მასპინძლობა ქუთაისს შესთავაზეს. ამ სტუმართმოყვარე ქალაქში მუდამ დუღს საჭადრაკო ცხოვრება. მისი მკვიდრია მსოფლიო პირველობის ახალგაზრდა პრეტენდენტი მ. ჩიბურდანიძე. მაგრამ ქუთაისის სპორტის მესვეურნი ჩემპიონატს ხალისით როდი შეხვდნენ, თუმცა მერე კი კარგი მასპინძლობა გაუწიეს. ქუთაისში არ არის ჩემპიონატის ჩატარებისათვის შესაფერი დარბაზი. ადგილობრივი მრეწველობის კულტურის სახლი, რომელშიც ჩემპიონატი ჩატარდა (20 მაისი — 10 ივნისი), შუაგულ ქალაქშია, მაგრამ, იგი მცირე ფართობის გამოდგა. გაძნელდა 18 მონაწილისთვის სარბიელის გამართვა.

ქუთაისს, ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა აღიარებულ კერას, არა აქვს საჭადრაკო კლუბი. ეს პარადოქსად ჟღერს, როცა იცი, რომ საჭადრაკო კლუბი აქვს ზუგდიდს, სამტრედიას, ჩოხატაურს... ქუთაისელებმა კი რაც ჰქონდათ, ისიც გააუქმეს. ქალაქის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, რომ უახლოეს მომავალში ქუთაისში აიგება თანამედროვე საჭადრაკო კლუბი (300-კაციანი მაყურებელთა დარბაზით, სამეცადინო ოთახებით, ვრცელი სცენით და სხვ.). ამჟამად კი შენობის პროექტის დამუშავება მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ეს კარგი ამბავია, მაგრამ ახალი კლუბის აშენებამდე რა ქნან ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა?

ქუთაისში ახლა ბევრია ნიჭიერი, მზარდი მოჭადრაკე. მათგან ოთხი საუკეთესო ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობდა. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა 15 წლის თამილა მესხმა, რომელიც თითქმის დასკვნით დღემდე ინარჩუნებდა III ადგილზე გასვლის შანსს (დაიკავა IV ადგილი). მხოლოდ თამილამ შეძლო ახალი ჩემპიონის ოსტატ თ. ხუგაშვილის დამარცხება. შეუპოვარ მოჭადრაკედ გაგვაცნო თავი 16 წლის ლიდა ფაჩუაშვილმა. მან თავისი საუკეთესო პარტია ითამაშა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ ნ. მელაშვილთან, რომელიც მოიგო. შედარებით წარუმატებლად გამოდიოდა 16 წლის მაისო ჭირაქაძე, თუმცა ცალკეულ პარტიებში იგრძნობოდა მისი მახვილი აზროვნება, გულადი ხასიათი. ქუთაისელი იყო ყველაზე უმცროსი მონაწილეც, 12 წლის ირმა აბზიანიძე. ახალბედამ მთლიანად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობა, ღელავდა, ჩქარობდა, მის თამაშში მაინც ჩანდა ნიჭი, რომლის გაღვივება მეცადინეობისა და დროის საქმეა.

აქვე გვინდა ქებით მოვიხსენიოთ გორელი ციალა ქასოშვილი. მან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. თუ შემდგომ გული არ აიყარა ჭადრაკზე, კარგი მომავალი აქვს.

ქუთაისელები მეტისმეტად დაძაბული ბრძოლის მოწმენი იყვნენ. თამაშს აცხოველებდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალის ორი საგზურის მოპოვების სურვილი. ახლა შეჯიბრების უხეირო რეგლამენტის შესახებ: 17 ტური ისე ჩატარდა, რომ მონაწილეებს მხოლოდ ერთი(!) დასვენების დღე ჰქონდათ. ამ რეგლამენტისგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ ც. კობაიძე, ც. კახაბრიშვილი, ნ. მელაშვილი და ფინალის საგზურების სხვა რეალური პრეტენდენტები. მსგავსი პრაქტიკა უნდა დავგმოთ. მით უმეტეს, იგი დაუშვებელია, როცა მონაწილეთა უმრავლესობა ბავშვები არიან. ეს არ მოხდებოდა, რომ ტურნირში ორი მონაწილით ნაკლები ყოფილიყო, მაგალითად, შეცდომად მივგაჩნია ტყიბულელი ლ. შეყილაძის მიწვევა ჩემპიონატში. მას ეს პატივი არ დაუმსახურებია, რაც შედეგმაც დაადასტურა (XVIII ადგილი, 1 ქულა 17-დან).

სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხუგაშვილმა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა, 20 წლის ოსტატობის კანდიდატმა მზია წერეთელმა (ორივე — თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის აღსაზრდელი, მწვრთნელი გ. მაჭავარიანი). ხუგაშვილს უკვე უთამაშნია ფინალში. წერეთელი პირველად ცდის ძალას. მას არ აკლია უძლიერეს ოსტატებთან თამაშის გამოცდილება. საერთაშორისო ტურნირებშიც (რუმინეთში ) უსახელებია თავი. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის და ხუგაშვილი ფინალში (კიევი, ოქტომბერი) წარმატებით დაიცავენ ქართველ მოჭადრაკე ქალთა პრესტიჟს, მით უმეტეს, რომ 38-ე ჩემპიონატი ერთდროულად ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი, 1978-81 წლების ციკლის საბჭოთა ზონალური ტურნირის შესარჩევი შეჯიბრებაცაა.

თ. გიორგაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი-თბილისი.

### საქართველოს ჩემპიონატი

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

#### I ჯგუფი

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:3. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი ა. პაიჭაძე (თბილისი).

„მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მახარაძელებმა ხავთასმა და სართანიამ ორჯერ გაიყვანეს წინ თავიანთი გუნდი, მაგრამ სტუმრებმა ორივეჯერ შეძლეს საპასუხო ბურთების გატანა. ეს ჯერ გააკეთა გუდავაძემ (პენალტი), მერე — ნ. ტყებუჩავამ.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ასკ (თბილისი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 2:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

არმიელთა შეტევები მე-18 წუთზე აღინიშნა რამიშვილის მიერ გატანილი გოლით. შემდეგ, 50-ე წუთზე, თელაველთა კარი მეორედ აიღო გოგიტიძემ. „ნადიკვარმა“ მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო (სეროფიანი).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).

ოჩამჩირელი ბჟანიას მიერ გატანილი გოლი ტაიმის დამთავრებამდე გაქვითა ჭეიშვილმა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. 2 ბურთი გაიტანა ქობალიამ, 1 — გოგოლაშვილმა.

„ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

ამ მატჩში დაწინაურდნენ სტუდენტები (ხუსკივაძე). ტყიბულელმა ვ. ბოჭორიშვილმა ჯერ აღადგინა თანაფარდობა, ხოლო შემდეგ წინ გაიყვანა „მეშახტე“.

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

„იბერია“ (ქარელი) — „მზიური“ (გალი) 2:3. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

ქარელელი ფეხბურთელები ორჯერ დაწინაურდნენ (ფილიშვილი, ნოზაძე) და გალელებმა ორივეჯერ გაქვითეს ანგარიში (გუგუჩია, ხარაბაძე). მერე კი, როცა შეხვედრის დასასრულს 2 წუთი აკლდა, ზაქარაიას დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „მზიურს“.

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხ“. ფ. | 22 | 14 | 5 | 3 | 43—14 | 33 |
| „მზიური“ | 22 | 14 | 5 | 3 | 36—17 | 33 |
| „მეშახტე“ | 19 | 14 | 3 | 2 | 29—8 | 31 |
| „მეტალ“. რ. | 21 | 13 | 4 | 4 | 32—16 | 30 |
| „მერცხალი“ | 21 | 10 | 8 | 3 | 31—14 | 28 |
| „კოლხ“. ხ. | 23 | 8 | 9 | 6 | 20—20 | 25 |
| „მაღარ“. | 19 | 11 | 2 | 6 | 35—25 | 24 |
| „სპარ“. თბ. | 22 | 9 | 6 | 7 | 30—22 | 24 |
| ასკ თბ. | 23 | 8 | 8 | 7 | 27—23 | 24 |
| „ენერგეტ“. | 22 | 9 | 6 | 7 | 29—26 | 24 |
| „ჩიხურა“ | 21 | 8 | 5 | 8 | 24—20 | 21 |
| „ამირანი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 21—29 | 21 |
| „ივერია“ ხ. | 23 | 7 | 7 | 9 | 16—25 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 9 | 3 | 10 | 26—37 | 21 |
| პოლ. ინსტ. | 23 | 9 | 2 | 12 | 31—34 | 20 |
| „სქური“ | 24 | 7 | 5 | 12 | 32—34 | 19 |
| „ნადიკვარი“ | 22 | 5 | 8 | 9 | 24—29 | 18 |
| „მეტალ“. ზ. | 22 | 5 | 7 | 10 | 27—31 | 17 |
| „სალხინო“ | 22 | 5 | 7 | 10 | 21—38 | 17 |
| „სპარტ“. ცხ. | 21 | 4 | 7 | 10 | 23—29 | 15 |
| „ეგრისი“ | 23 | 4 | 7 | 12 | 17—30 | 15 |
| „დურუჯი“ | 23 | 6 | 2 | 15 | 16—38 | 14 |
| „იბერია“ ქ. | 23 | 4 | 3 | 16 | 16—47 | 11 |

გაფრთხილებული არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ა. გაჩეჩილაძე და ახალქალაქელი. ა. თვალაძე.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 1 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). დასაწყისი 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 16 ს.

### კარპოვი ბაგიოში გაემგზავრა

**16 ივლისს** ფილიპინების ქალაქ ბაგიოში დაიწყება ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. და აი, 29 ივნისს მოსკოვიდან ფილიპინებზე გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი თავის მწვრთნელებთან ერთად.

კარპოვ — კორჩნოის მატჩში თამაში გაგრძელდება 6 მოგებამდე (ყაიმები მხედველობაში არ მიიღება). ეს იქნება პირველი შეხვედრა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ყაიმით არ შეიძლება დამთავრდეს. ჩემპიონს მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ დამარცხების შემთხვევაში შეუძლია მატჩ-რევანში გამოიწვიოს მეტოქე.

ბაგიოში გამგზავრებამდე კარპოვი ძნელი მატჩისთვის გაგრაში ემზადებოდა.

### ჭადრაკი

### მოულოდნელი ფინალები

### წყალში ხტომა

**დიდი** მოულოდნელობებით აღინიშნა ერევანში მიმდინარე სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, პენზელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ი. კალინინამ ტრამპლინიდან ხტომაში მხოლოდ III ადგილი დაიკავა.

ი. კალინინა ვერც კოშკიდან ხტომაში ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. გამარჯვებულთა შორის ვერ ვხედავთ ვერც მოსკოველ ოლიმპიურ ჩემპიონს ე. ვაიცეხოვსკაიას. ფავორიტებმა II-III ადგილები გაიყვეს. ორივეს 17 წლის ელექტროსტალელმა ე. მატიუშენკომ აჯობა, რომელიც პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი კოშკიდან ხტომაში — 591,79.

ჩემპიონატის „აღმოჩენა“ შეიძლება ეწოდოს მასპინძელთა გუნდის წევრს, 14 წლის ა. სარქისიანის გამოსვლას, რომელმაც IV ადგილი დაიკავა ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში. მან 552,58 ქულა დააგროვა და მჭიდროდ მიუახლოვდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

კოშკიდან მხტომელთა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს სახელოვან ჩემპიონებს საიმედო ცვლა ეზრდებათ.

მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა, აგრეთვე ვაჟთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებიც. 17 წლის ჩელიაბინსკელმა ს. კუზმინმა მონრეალის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, მინსკელ ა. კოსენკოვს აჯობა და პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი — 824,22 ქ. კოსენკოვი მეორე იყო — 798.66. III ადგილი წილად ხვდა სარატოველ ვ. ტრომშინს — 787,53.

აღსანიშნავია, რომ კუზმინმა, რომელმაც თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა, ერთი ნახტომისთვის ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა — 72,08 დააგროვა.

## რეკორდსმენთა ნაკრები

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში არგენტინის გაზეთმა „ელ გრაფიკომ“ შეადგინა ე. წ. მსოფლიოს სუპერნაკრები, რომელშიც შევიდნენ მხოლოდ ის გამოჩენილი ფეხბურთელები, რომლებსაც სხვადასხვა სახის მსოფლიო რეკორდები ეკუთვნით.

აი ეს ნაკრები: **მეკარე** — ანტონიო კარბახალი (მექსიკა, ხუთჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატებში); **მცველები** — ჯიაცინტო ფაკეტი (იტალია, ნაკრების კაპიტანი იყო 3 მსოფლიო ჩემპიონატზე), პაულ ბრაიტნერი (გფრ, ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ფინალურ მატჩში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა პენალტით), ფრანც ბეკენბაუერი (გფრ, ყველა ჩემპიონატის ყველაზე ეფექტური მოთამაშე), პანჩო მონტი (არგენტინა, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ორ მსოფლიო ჩემპიონატში ორ ნაკრებში ითამაშა: 1930 წელს არგენტინის, ხოლო 1934 წელს — იტალიისაში); **ნახევარმცველები** — ბობი მური (ინგლისი, მას ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებისას მსოფლიო რეკორდი ეპყრა ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით — 108), ვოლფგანგ ოვერატი (გფრ, მან 17-ჯერ ზედიზედ ჩაატარა 3 მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები); **თავდამსხმელები** — ჟიუსტ ფონტენი (საფრანგეთი, რეკორდსმენი ერთ ფინალურ ჩემპიონატში გატანილი ბურთების რაოდენობით — 13), ეუსებიო (პორტუგალია, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა პენალტებით — 4, ახლა ეს მაჩვენებელი გაიმეორა ჰოლანდიელმა რენსენბრინკმა), პელე (ბრაზილია, ერთადერთი სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი — 17 წლისა), მარიო ზაგალო (ბრაზილია, იგი მსოფლიო ჩემპიონი იყო ჯერ როგორც მოთამაშე, მერე კი, როგორც მწვრთნელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცხენოსნობა

**კიევში** დამთავრდა სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი ცხენოსნური სპორტის ერთ-ერთ სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში. გაიმარჯვა 29 წლის უკრაინელმა სპორტსმენმა ვ. პოგანოვსკიმ. II ადგილზე გავიდა უზბეკეთის წარმომადგენელი ა. ახმეტშინი, მესამეზე — უკრაინელი ვ. დურკოტი. ასპარეზობაში მონაწილეობდა შვიდი მოკავშირე რესპუბლიკის 10 სპორტსაზოგადოების 24 მხედარი.

## მაგიდის ჩოგბურთი

**მაგიდის** ჩოგბურთის უნგრელი ოსტატები ი. ლგამოში და გ. გერგეი გასული სეზონის ევროპის საუკეთესო მაგიდის ჩოგბურთელთა სიას სათავეში მოექცნენ. ამ სიაში მერვე ადგილზეა საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელი, სუმგაითელი ვ. პოპოვა.

## ჩოგბურთი

**101-ედ** აილო სტარტი ლონდონის საგარეუბნო ქალაქ უიმბლდონში ჩოგბურთელთა ტურნირმა. პირველი სტარტები სენსაციით არ გამოირჩეოდა. ქალთა 1974 და 76 წლების გამარჯვებულმა ამერიკელმა კ. ევერტმა 40 წუთში გაიმარჯვა შვედ ჰ. ანლიოტთან 6:1, 6:0.

უიმბლდონის 1971 წლის გამარჯვებულმა ავსტრალიელმა ი. გულაგონგ-კოულიმ წააგო ამერიკელ ლ. ფორუდთან. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულმა რუმინელმა ვ. რუჟიჩიმ, ამერიკელმა ბილი-ჯინ კინგმა და სხვა ჩოგბურთელებმა თავიანთი შეხვედრები მოიგეს.

უიმბლდონის ტურნირის სამგზის გამარჯვებულმა, 34 წლის ავსტრალიელმა ჯ. ნიუკომბმა დაამარცხა ჯანამემამული რ. კეისი — 6:4, 5:2, 9:8. გაიმარჯვეს აგრეთვე, ამერიკელმა ჯ. კონორსმა, არგენტინელმა გ. ვილასმა, მექსიკელმა რ. რამირესმა, რუმინელმა ი. ნასტასემ და სხვებმა.

**გდრ-ის** ქალაქ ცინოვიცში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა II ადგილი დაიკავეს, წააგეს რა მატჩი (0:2) ჩეხოსლოვაკიელებთან. ვაჟთა ფინალურ ტურნირში მასპინძლებმა სძლიეს ბულგარელებს — 2:1.

## ხელბურთი

**„იუგოსლავიის თასის“** გათამაშებაში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა პირველ შეხვედრაში დაამარცხა პოლონელები — 25:24, ხოლო მეორე მატჩი უნგრელებთან ფრედ დაამთავრა — 17:17. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: რუმინეთი — უნგრეთი 21:19, იუგოსლავია — შვეიცარია 27:19, იუგოსლავია — პოლონეთი 24:21.





## ეთიოპიელები თბილისში

**გაზეთ „პრავდის“** პრიზების საერთაშორისო გათამაშებაში მონაწილეობისთვის ამას წინათ თბილისს რამდენიმე ეთიოპიელი მძლეოსანი ეწვია, რომლებმაც „დინამოს“ სტადიონზე წარმატებით იასპარეზეს. მათ ძალიან მოეწონათ ჩვენი დედაქალაქის ცენტრალური ბაზის სინთეტური ბილიკები და სექტორები და გადაწყვიტეს III სრულიად აფრიკის თამაშებისთვის მოსამზადებელი ვარჯიშები აქ გაიარონ, ამიტომაც გუნდის სხვა წევრებიც გამოიძახეს.

* * *

სურათებზე: ვარჯიშის მონაწილეთა ერთი ჯგუფი; გ. ჯეზუსი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ; მწვრთნელი ნუგესე რობა არჩევს წვრთნის შედეგებს.

ვ. სოკოლოვის ფოტოები. (საქინფორმი).



# გარბიან საზღვარგარეთ

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის სამოყვარულო სპორტის ხელმძღვანელობა სერიოზულადაა შეშფოთებული საზღვარგარეთ, განსაკუთრებით აშშ-ში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა ლტოლვით. ამ მოვლენამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ვინაიდან სპორტსმენები მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არიან და სამშობლოში არა აქვთ შესაძლებლობა სრულყონ ოსტატობა.

ბევრმა ცნობილმა სპორტსმენმა დატოვა ბრაზილია ცხოვრების უკეთესი პირობების ძებნის მიზნით. მათ გზას მიჰყვებიან ფრენბურთის, ცურვის, კალათბურთის და ჩოგბურთის „ვარსკვლავები“. 18 სპორტსმენი მალე გაემგზავრება აშშ-ში. ერთი მათგანია ქვეყნის ჩემპიონი ჰაბუ, ჩოგბურთელთა შორის კასიუ მოტა. რამდენიმე დღეში იგი გაიმეორებს „სპორტული ემიგრაციის“ მარშრუტს, რომელიც აქამდე აირჩიეს მისმა უფროსმა ამხანაგებმა — როჟე გედესმა, ჟოაო სოარეშმა და ფერნანდო ფონ ოტცენმა.

ამ სპორტსმენთა საქციელი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას განიცდის დღესდღეობით მთლიანად ბრაზილიური სამოყვარულო სპორტი.

ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელი ბერნარდი ლ. ეიმარდის, ბ. და ს. კალაშეების მსგავსად აპირებს გახდეს აშშ-ში პროფესიონალი სპორტსმენი. ნაკრების მეორე „ვარსკვლავმა“ ფერნანდომ გადაწყვეტილება მიიღო ითამაშოს სან-დიეგოს (აშშ) უნივერსიტეტის პროფესიულ გუნდში.

ორი წელია ინდიანის უნივერსიტეტში სწავლობს და ვარჯიშობს საუკეთესო ბრაზილიელი მოცურავე ჯან გადრუგა, რომელმაც მონრეალის ოლიმპიადაში IV ადგილი დაიკავა 400 და 1500 მეტრზე ცურვაში. იქვეა ბრაზილიის ცურვის „ვარსკვლავი“ რომულო არანტეს ჟუნიორი, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიადაში დიდ წარმატებას მიაღწია.

საზღვარგარეთ მცხოვრები ბრაზილიელი სპორტსმენები სამშობლოში წელიწადში ერთხელ ჩადიან მთავარ ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. (საკ-დესი).

## მძლეოსნობა

# ეპატიჟება ალბერტო ხუანტორენა

**ჩემის** აზრით, ჰავანაში მომავალი ასპარეზობის — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის სპორტული პროგრამა ძალიან საინტერესო იქნება, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა მონრეალის ოლიმპიადის ორი ოქროს მედლის მფლობელმა, შესანიშნავმა კუბელმა მორბენალმა ალბერტო ხუანტორენამ. — მე ვიბრძოლებ ფესტივალის უმაღლესი ჯილდოებისთვის ჩემს საყვარელ დისტანციებზე.. განსაკუთრებით საინტერესო იქნება შეჯიბრება „საფესტივალო მილზე“ — 1978 მეტრზე რბენაში, რომელშიც მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია.

თავის წლევანდელ გეგმებზე ლაპარაკისას ხუანტორენა არ გამორიცხავს 400 და 800 მეტრზე რბენაში მსოფლიო მიღწევაზე „იერიშის“ მიტანას. ოღონდაც მისი მთავარი მიზანი მოსკოვის ოლიმპიადაზე გამარჯვებაა.

ხუანტორენა მოსკოვის ოლიმპიადაზე 3 ოქროს მედლის მოპოვებაზე ოცნებობს. მას განზრახული აქვს არა მარტო თავის საყვარელ დისტანციებზე (400 და 800 მ), არამედ 1500 მეტრზე ასპარეზობაც. მართალია, რბენაში ოლიმპიადის სამი უმაღლესი ჯილდოს მოპოვებაზე ფიქრი ერთი სპორტსმენისათვის სათუო გაბედული ოცნებაა, მაგრამ ხუანტორენაც ხომ უნიკალური მორბენალია. განა მან არ გააბათილა თანამედროვე სპორტული მეცნიერების ზოგიერთი კანონი თავისი რეკორდებით, რომელსაც მან მძლეოსნობაში „საკმაოდ გვიანი“ სტარტების შემდეგ მიაღწია (ალბერტო ბავშვობიდან კალათბურთზე ოცნებობდა, ხოლო სარბენ ბილიკზე 20 წლისა გამოვიდა).

• დღეს მძლეოსნობაში, — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, — წარმატების მისაღწევად მთავარია არა იმდენად ნიჭი, რამდენადაც შრომისმოყვარეობა, სპორტსმენისა და მისი მწვრთნელის კარგად მოფიქრებული გეგმიანი მუშაობა. (საკდესი).

## „სპორტლოტო“

**სპორტლოტოს** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ 25-ე ტირაჟისა, რომელიც 24 ივნისს მოსკოვში გაიმართა.

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3993 მანეთია, ოთხისთვის — 63, სამისთვის — 4.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 257, სამისთვის — 5.

მოგებული თანხა გაიცემა 5 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით.

## კალათბურთი

**კალათბურთელ** ვაჟთა საბჭოთა ნაკრები გუნდი მექსიკის კალათბურთის ფედერაციის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის პირველ მატჩში შეხვდა პანამის ნაკრებს და დაამარცხა — 82:79. საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ა. სალნიკოვი (22 ქულა) და ვ. ტკაჩენკო — 15.

ტურნირში მონაწილეობს მერილენდის უნივერსიტეტის ძლიერი გუნდი, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე მოთამაშე აშშ-ს ნაკრებში შედის. ამ გუნდმა მოუგო მექსიკის ნაკრებს — 79:72. მექსიკელთა გუნდში გამოდის რამდენიმე კალათბურთელი, რომლებიც აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობენ.



**მსოფლიოს** ერთ-ერთი პოპულარული სპორტსმენი მუჰამედ ალი სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით იმყოფებოდა საბჭოთა ქვეყანაში. სურათზე: მუჰამედ ალისა და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიქტორ აგეევის „სახუმარო ბრძოლა“. მარჯვნივ — ალის მეუღლე — ვერონიკა.

საკდესის ფოტო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).
2 ივლისი
**რ ე გ ბ ი**
სსრ კავშირის ჩემპიონატი
(უმაღლესი ლიგა)
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი)
დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.